ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 5

1990

უზენაესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

19645

უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 5 (598) მაისი 1990 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

106. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ.
107. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
108. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქრონიკული ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობის შესახებ.
109. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

110. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მ. ვ. ქანთარიას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
111. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
112. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
113. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საქართველო.

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

114. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

115. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ი. თ. ყიფშიძისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

116. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ი. გურგენიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

117. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შ. გ. ხოლუაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

118. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ზ. გ. ღუღუნიშვილისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

119. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჯ. დ. კუბლაშვილისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

120. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. პ. შარაშენიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

121. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ა. ჭირაქაძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

122. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჯ. დ. შანშიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

123. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

124. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. გ. კვირკველიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

125. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ე. ს. სმირანინასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

126. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ე. ი. ცივაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

127. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლ. ი. ჩორგოლაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

128. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. ლ. გარსიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

129. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ე. ბ. ამირანაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

130. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჯ. დ. ცინცაძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

131. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ი. ვ. ილიუშინის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

132. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

133. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ვ. მდინარაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

134. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. კ. ლომაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

135. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

136. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

106 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წელი, № 36, მუხლი 662) შემდეგი დამატებანი:

პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები: „ქონებრივი ანაზღაურების ნაწილში გადაწყვეტილებათა და განაჩენების, სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საქმეებზე, ადმინისტრაციულ წარმოებასა და სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერებზე იძულებითი აღსრულების მოქმედების შესრულებისას სასამართლო აღმასრულებელს მოვალის სარჯზე მიეცემა გასამრჯელო იმ თანხის 5 პროცენტის ოდენობით, რომელიც მან გადაახდევინა სახელმწიფო ბიუჯეტში, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების და მოქალაქეთა სასარგებლოდ“;

ამ მუხლის მეორე ნაწილს სიტყვებს „გადახდება მოვალეს სახელმწიფოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სასამართლო აღმასრულებლის“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 3 მაისი.
№ 2625—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

107 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონთ დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 408-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები ჩაყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საკომისიო მაღაზიები დებენ მოქალაქეებთან საკომისიო ხელშეკრულებას, რომ საცალო ვაჭრობის წესით გაყიდონ — სახალხო მოხმარებისა და საოჯახო მეურნეობის გამოსაყენებლად ვარგისი როგორც ახალი, ასევე ნახმარი საგნები, რომლებიც არ მოითხოვენ რემონტს ან რესტავრაციას, აკმაყოფილებენ სანიტარიულ მოთხოვნებს; სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ანტიკვარული საგნები; საიუველირო ნაკეთობანი, აგრეთვე ძვირფასი ლითონის კორპუსიანი საათები, რომლებიც არ მოითხოვენ რესტავრაციას (მიიღება მხოლოდ სპეციალიზებული საკომისიო მაღაზიების მიერ); რადიოელექტრონული საშუალებანი — პორტატიული მიმღებ-გადამცემი რადიოსადგურები, უზონრო რადიოტელეფონები, დამცავი რადიოსიგნალიზაციის მოწყობილობები, სენდრები (ვიდეომაგნიტოფონიდან სატელევიზიო სიგნალის გადამცემი მოწყობილობა) — მოქალაქეთა მიერ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირგაბმულობის სახელმწიფო ინსპექციის ადგილობრივი ორგანოების ნებართვის წარდგენისას; კოოპერატივების, ინდივიდუალური შრომით დასაქმებული მოქალაქეების, აგრეთვე ტექნიკური შემოქმედების თვითმოქმედი კლუბების, მოყვარულთა გაერთიანებების, ინტერესების მიხედვით კლუბების წევრთა ნაკეთობანი.

სპეციალურად გამოყოფილ საკომისიო მაღაზიებს ნება ეძლევათ შესაბამის ორგანიზაციებთან დადონ ხელშეკრულება, რომ გაყიდონ კონფისკაციაქმნილი, მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოსათვის გადაცემული, უპატრონო ქონება, აგრეთვე სასამართლოთა განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მოქალაქეთათვის ჩამორთმეული ქონება; სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან — ნამეტი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც შეიძლება მიეყიდოს მოსახლეობას, იმ საქონლის გარდა, რომლის მიღება აკრძალულია საქონლის საკომისიო ვაჭრობის წესების შესაბამისად“.

2. 411-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკომისიოდ მისაღები ნივთების გასაყიდად ფასს აწესებს კომიტენტი, ცვეთის ხარისხის მიუხედავად. საიუველირო ნაკეთობების, ძვირფასი ლითონისაგან, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან დამზადებული საიუველირო ნაწარმის ფასი განისაზღვრება სახელმწიფო საცალო ფასების, საქონლის ხარისხისა და მომხმარებელთა მოთხოვნილების გათვალისწინებით.

ნივთის ფასი, რომელიც დროზე ვერ გაიყიდა, შეიძლება დაკლებულ იქნეს არასასურსათო საქონლის საკომისიო ვაჭრობის წესების შესაბამისად. ნივთების ყველა გადაფასება ხორციელდება კომიტენტის გამოუძახებლად, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმოწერითაც საკომისიო შეთანხმებაზე (ქვითარზე) დასტურდება ამ პირობებზე მისი თანხმობა“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 7 მაისი.
№ 2629—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

108 ქრონიკული ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს ქრონიკული ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში განურჩევლად სქესისა, წლოვანებისა და მძიმე თანამდევი ავადმყოფობისა (ტუბერკულოზის, ვენერიული და ინფექციური დაავადებისა და შიდსის გარდა).

2. იძულებითი მკურნალობა გამოიყენება ქრონიკული ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ ნებაყოფლობით მკურნალობას და თავიანთი მოქმედებით საშიშროებას უქმნიან საკუთარ და გარშემო მყოფთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

3. აღნიშნული კატეგორიის პირთა იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნის საკითხს წყვეტს სახალხო სასამართლო არა უმეტეს ათი დღის ვადაში იმ პირთა თანდასწრებით, რომლის მიმართაც აღძრულია შუამდგომლობა.

იძულებითი მკურნალობის ხანგრძლივობის საკითხს წყვეტს სამკურნალო დაწესებულება კომისიური წესით, სამკურნალოდ მოთავსებიდან ხუთი დღის ვადაში.

4. სასამართლოში განსახილველ მასალებს ამზადებენ და გზავნიან შინაგან საქმეთა ორგანოები საკუთარი ინიციატივით ან ავადმყოფის ოჯახის წევრების თუ ნათესავების, ან შრომითი კოლექტივების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების შუამდგომლობათა საფუძველზე.

5. სასამართლოს დადგენილება იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნის შესახებ საბოლოოა, არ გასაჩივრდება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტდეს ზედამხედველობის წესით.

6. იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნილ პირებს უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება მათი წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სასამართლოს დადგენილება პირის იძულებით სამკურნალოდ გაგზავნის შესახებ წარმოადგენს სამუშაოდან მისი განთავისუფლების საფუძველს გასასვლელი დახმარების მიუცემლად.

სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის დრო არ წყვეტს შრომის სტაჟს და ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟში. შვებულება ასეთ პირებს ამ პერიოდისათვის არ მიეცემათ.

8. იძულებითი მკურნალობის შემდეგ სამკურნალო დაწესებულებიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი მოწყობა ეკისრებათ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

9. ავადმყოფის იძულებითი მკურნალობა შეწყდება იმ სამკურნალო დაწესებულებების კომისიური გადაწყვეტილების საფუძველზე, სადაც პირი სამკურნალოდ იმყოფება.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ამ ბრძანებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 21 მაისი.
№ 2645—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

109 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ., № 1, მუხ. 10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 63-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ დანაშაულის ჩამდენი პირი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე აღმოჩნდება ალკოჰოლიკი ან ნარკომანი, სასამართლო დამნაშავეს სასჯელთან ერთად შეუფარდებს იძულებით მკურნალობას.

თუ ალკოჰოლიკს ან ნარკომანს ჩადენილი დანაშაულისათვის შეეფარდება სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, მას იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნიან სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში.

თუ დანაშაულის ჩამდენი პირი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე აღმოჩნდება ალკოჰოლიკი ან ნარკომანი და თუ სასამართლო სასჯელის ზომად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიყენებს თავისუფლების აღკვეთას, მსჯავრდადებული მკურნალობას გადის სასჯელის მოხდის დროს, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების შემდეგ მკურნალობა, თუ ეს საჭიროა, გაგრძელდება სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში.

ალკოჰოლიკის ან ნარკომანის იძულებითი მკურნალობა შეწყდება იმ სამკურნალო დაწესებულების კომისიური დასკვნის საფუძველზე, სადაც პირი სამკურნალოდ იმყოფება".

2. 204-ე მუხლის სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 204.** გადასახლების ადგილიდან ან შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმიდან გაქცევა, გადასახლებაში ან პროფილაქტორიუმში გაგზავნისას გზიდან გაქცევა და გასახლებულის თვითნებურად დაბრუნება

გადასახლების ადგილიდან ან შრომა-აღმზრდელობითი პროფილაქტორიუმიდან გაქცევა, ავრეთვე გადასასლებაში ან პროფილაქტორიუმში გაგზავნისას გზიდან გაქცევა —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე".

3. 252^4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 252^4.** იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება

სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში ნარკომანის ან ალკოჰოლიკის მიერ იძულებით მკურნალობისათვის თავის არიდება ან რეჟიმის სხვა ბოროტი დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე".

II. საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12, მუხ. 202) სიტყვები „სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში" შეიცვალოს სიტყვებით „სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში".

III. საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118) 35-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში სასამართლოს დადგენილებით მუშაკის იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნის გამო".

IV. საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 69-ე მუხლის მე-6 პუნქტი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1983 წ., № 6, მუხ. 199) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6) მოთავსებული არიან იძულებითი მკურნალობისათვის სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში — ამ დაწესებულებაში ყოფნის მთელი დროის მანძილზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ 1972 წლის 15 ივნისის კანონის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 6, მუხ. 101; 1974 წ., № 9, მუხ. 171; 1985 წ., № 10, მუხ. 370; 1987 წ., № 9, მუხ. 223) 61[1] მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები და 62 მუხლიდან — მეორე და მესამე ნაწილები.

VI. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულება „ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1975 წ., № 8, მუხ. 162).

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულება „ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1975 წ., № 8, მუხ. 163).

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 28 აგვისტოს დადგენილება „ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ და „ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებათა გამოყენების წესის თაობაზე“.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულება „ქრონიკული ალკოჰოლიკებისა და ნარკომანიით დაავადებულთა სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1975 წ., № 8, მუხ. 164).

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება „ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1982 წ., № 12, მუხ. 377).

6. „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულების VII მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., № 10, მუხ. 370).

7. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 23 სექტემბრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულების III და IV მუხლები (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1987 წ., № 9, მუხ. 223).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 21 მაისი.
№ 2646—XI

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

110 მ. ვ. ქანთარიას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის, ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდაში დიდი წვლილისა და გამარჯვების 45-ე წლისთავთან დაკავშირებით მელიტონ ვარლამის ძე **ქანთარია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 7 მაისი.
№ 2626—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

111 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ეთერ შალვას ასული **ბოცვაძე**

ნათელა შალვას ასული **ვასაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ პართენის ასული **გოთუა**
მარიამ ნიკოლოზის ასული **გრიგალაშვილი**
თამარ ივანეს ასული **დეკანოსიძე**
გუჩა შალვას ასული **კვარაცხელია**
ქეთევან ბესარიონის ასული **ლომთათიძე**
მარიამ დავითის ასული **ლორთქიფანიძე**
ელენე პავლეს ასული **მეტრეველი**
ელენე ეროდიონის ასული **ობოლაშვილი**
ლამარა ბორისის ასული **ფაშაევა**
ეთერ პეტრეს ასული **ქემერტელიძე**
ვენერა ალექსის ასული **ქოიავა**
თინათინ სიმონის ასული **ყაუხჩიშვილი**
მზექალა აკაკის ასული **შანიძე**
ნანა ვლადიმერის ასული **ხაზარაძე**
ნინო ალექსანდრეს ასული **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. გუმბარიძე.**
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 7 მაისი.
№ 2630—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

112 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული კულტურის განვითარებაში დიდი წვლილისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

მარიკა გერვასის ასული **ბარათაშვილი**
ნანი გიორგის ასული **ბრეგვაძე**
ნატალია მიხეილის ასული **ბურმისტროვა**
ეთერ ნიკოლოზის ასული **გუგუშვილი**
მერი შალვას ასული **დავითაშვილი**
მედეა შალვას ასული **კუჭუხიძე**
ნთელა არჩილის ასული **იანქოშვილი**
ივეტა ვლადიმერის ასული **ლაღიძე**
იზა კონსტანტინეს ასული **ლესელიძე**
ნარგიზა სიმონის ასული **მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლიტა იაკინთეს ასული **მესხიშვილი**
ცისანა ბეჟანის ასული **ტატიშვილი**
ლიანა ილარიონის ასული **შეწირული**
სოფიკო მიხეილის ასული **ჭიაურელი**
მედეა ვასილის ასული **ჩახავა**
მედეა ვალერიანის ასული **ჯაფარიძე**
მზია ნიკოლოზის ასული **ჯულელი.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1990 **წლის 7 მაისი.**
№ **2631—XI**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

113 **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ნელი პლატონის ასული **გუმბარიძე**
ნელი ვლადიმერის ასული **გურგენიძე**
ნათელა მიხეილის ასული **დუმბაძე**
ვიოლეტა სიმონის ასული **ზორინა**
ნორა კონდრატის ასული **კარანაძე**
ზინაიდა არსენის ასული **კვაჭაძე**
თამარ ივანეს ასული **კოღონია**
თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი**
ბელა ზაქარიას ასული **მაყაშვილი**
ნაზი აბრამის ასული **პეტრიაშვილი**
ნინო აქვსენტის ასული **ყვანია**
ოლღა ივანეს ასული **საბაშვილი**
მარინა სოლომონის ასული **სვანიძე**
ფატიმა პეტრეს ასული **ფუხაევა**
თინა კონსტანტინეს ასული **ქუთათელაძე**
ზეინაბ გივის ასული **ყურაშვილი**
მარიამ ვლადიმერის ასული **ძაძამიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე
ნათელა არტემის ასული ჯაყელი
გალინა უშანგის ასული ჯაში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 7 მაისი.
№ 2632—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

114 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ომის ვეტერანთა ორგანოებში აქტიური, ნაყოფიერი საქმიანობისათვის, ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეში წვლილისა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 45-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო** სიგელით დაჯილდოვდნენ:

ნათელა ისიდორეს ასული **აბუსერიძე**
ირაკლი თეოფილეს ძე **არსენიძე**
არტემ გრიგოლის ძე **ბარკალაია**
ვარლამ პეტრეს ძე **გიორგობიანი**
სერგო ივანეს ძე **გოშხეთელიანი**
ივანე მინას ძე **დუპლო**
აკაკი არჩილის ძე **ერგეშლიძე**
გიორგი სიმონის ძე **კაპანაძე**
დავით ვასილის ძე **კვიცარიძე**
ვალერიან სერგოს ძე **კაჭკაშვილი**
თინა ივანეს ასული **ნანეიშვილი**
გრიგოლ მიხეილის ძე **რუხაძე**
ალექსანდრე მიხეილის ძე **სირაძე**
ისაკ აბრამის ძე **ტრაბსკი**
ლევან იასონის ძე **ფანჩულიძე**
გიორგი ერისტოს ძე **ფაჩუაშვილი**
ბიძინა ზაქარიას ძე **ყანჩაველი**
დიმიტრი ბიქტორის ძე **ჩხიკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო ლავრენტის ძე ცინცაძე
ვახტანგ ბიქტორის ძე ჯიბლაძე
რაჟდენ ბაგრატის ძე ჯინჯოლია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 7 მაისი.
№ 2633—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

115 ი. თ. ყიფშიძისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახვითი ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისა და ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის უფროს მასწავლებელს, მხატვარ-ფერმწერს ირაკლი თეიმურაზის ძე **ყიფშიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 15 მაისი.
№ 2635—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

116 ნ. ი. გურგენიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისა და მეცნიერთა კადრების აღზრდაში წვლილისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრის ინყოფილების ხელმძღვანელს პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე **გურგენიძეს** მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჭოს „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 15 მაისი.
№ 2636—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

117 შ. ბ. ხოლუაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში თვალსაჩინო წვლილისათვის მხატვარ-ფერმწერს შოთა გიორგის ძე ხოლუაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 15 მაისი.
№ 2637—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

118 ზ. ბ. ღუღუნიშვილისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკური გაერთიანების გენერალურ დირექტორს ზეზვა გიორგის ძე ღუღუნიშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 15 მაისი.
№ 2638—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

119 **ჯ. დ. კუბლაშვილისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახმშენთან არსებული არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ჯაბა დავითის ძე **კუბლაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 15 მაისი.
№ 2639—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

120 **ნ. პ. შარაშენიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ვაჭრობისა და მომსახურების დარგების განვითარებაში წვლილისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ვაჭრობისა და მომსახურების განყოფილების გამგეს ნიკოლოზ პავლეს ძე **შარაშენიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 15 მაისი.
№ 2640—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

121 **ნ. ა. ჭირაქაძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის, წარმატებული საკონცერტო და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო ფი-

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარმონიის სოლისტ-პიანისტს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს ნინო არჩილის ასულ ჭირაქაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 მაისი.
№ 2641—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

122 ჯ. დ. შანშიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განითარებაში წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კათედრის დოცენტს ჯემალ დავითის ძე შანშიაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 მაისი.
№ 2642—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

123 „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

სერგო ერასტის ძე ბუგიანიშვილს — ონის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველ მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუჯა ალექსანდრეს ძე **გაბრიჭიძეს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო-სგბ-როსამრეწველო კომიტეტის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის საქართველოს საცდელი სადგურის განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2650—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

124 ნ. გ. კვირკველიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმაისტერს ნათელა გრიგოლის ასულ **კვირკველიას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო** წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2651—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

125 ე. ს. სმირანინასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის თეატრალურ ხელოვნებაში წვლილისათვის თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობს ელენე სერგოს ასულ **სმირანინას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2652—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

126 **ე. ი. ცივაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სრულყოფის საქმეში წვლილისათვის ბათუმის ა. წერეთლის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორს ეთერ იუსუფის ასულ ცივაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2653—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

127 **ლ. ი. ჩორგოლაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

სამართალდამცველ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ლამარა იონას ასულ ჩორგოლაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2654—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

128 **ძ. ლ. გარსიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკურ-ლაბორატორიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაგნოსტიკის კათედრის დოცენტს ქეთევან ლევანის ასულ **გარსიაშვილს** მიენიჭოს „**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის**“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2655—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

129 ე. ბ. ამირანაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობის დარგში ნაყოფიერი ნოვატორული საქმიანობისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანების საწარმოო-ტექნიკური განყოფილების ინჟინერ-ტექნოლოგს ჟენია (ევგენია) ბეგლარის ასულ **ამირანაშვილს** მიენიჭოს „**საქართველოს სსრ** დამსახურებული გამომგონებლისა და რაციონალიზატორის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2656—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

130 ჯ. დ. ცინცაძისათვის „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამშენებლო-საპროექტო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტ „საქაგრომრეწმშენსახპროექტის“ დირექტორის პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგილეს ჯონდო დიმიტრის ძე **ცინცაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ მუნიციპალობის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2657—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

131 ი. ე. ილიუშინის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციაში წვლილისათვის ოდესის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის არტისტი ილია ეფიმის ძე **ილიუშინი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2658—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

132 „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საოპერო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში წვლილისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესტატე ნიკოლოზის ძე **გოჩიაშვილს** — ორკესტრის მსახიობს
ზარმაირ ნიკოლოზის ძე **ოგანეზოვს** — გუნდის მსახიობს.
თამაზ ვარლამის ძე **ფარცვანიას** — სოლისტს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2659—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

133 ნ. ვ. მდინარაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდაში წვლილისათვის ამიერკავკასიის რკინიგზელთა კულტურის სასახლის საესტრადო ანსამბლ „ნერგების“ ხელმძღვანელს ნოდარ ვლადიმერის ძე **მდინარაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2660—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

134 ნ. კ. ლომაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საფინანსო საქმიანობისათვის საქართველოს **სსრ ტელევიზიისა** და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსს ნანა კარლოს ასულ **ლომაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2661—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

135 „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციაში წვლილისათვის „საქართველოს სსრ **დამსახურებული არტისტის**“ საპატიო წოდება მიენიჭოთ გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა კამერული გუნდის წევრებს:

მარიამ შოთას ასულ **აბულაძეს** — მსახიობს

მთვარისა ვახტანგის ასულ **ბერძენიშვილს** — მსახიობს

მანანა რობინზონის ასულ **გოგიჩაიშვილს** — მსახიობს

ნატალია ვიქტორის ასულ **ჩაგანავას** — მსახიობს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2662—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

136 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

გიორგი მიხეილის ძე **ბასიშვილს** — მსახიობს

ეკატერინე კოკინიას ასულ **დადიანს** — მსახიობს

ოთარ ვასილის ძე **დათუნაშვილს** — მსახიობს

მერაბ ალექსანდრეს ძე **მეზურნიშვილს** — მსახიობს

ლევან ბაგრატის ძე **ოზგებაშვილს** — მსახიობს

ფატი ვლადიმერის ასულ **ფულარიანს** — მსახიობს

ოთარ აპოლონის ძე **ქუთათელაძეს** — მსახიობს

დარეჯან მოსეს ასულ **ჭამაურს** — მსახიობს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“

იროდიონ არჩილის ძე **მჭედლიშვილს** — მთავარ მხატვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

მარიამ ივანეს ასულ **ზარხოზაშვილს** — სასცენო ტანსაცმლის მკერავს
ივანე არჩილის ძე **ცეცხლაძეს** — სცენის უფროს მემანქანეს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ბუმბარიძე.**
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 31 მაისი.
№ 2663—XI

განკოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 3 და 7 მაისის ბრძანებულებებით:

ხობის რაიონის ქვემო ჭალადიდის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი საგვიჩიო და შეიქმნა საგვიჩიოს სასოფლო საბჭო;

ადიგენის რაიონის ბოლაჯურის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ზემო ენთელი, ფხერო, შოყა და მათ ბაზაზე შეიქმნა ფხეროს სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ფხეროში;

ლელოვნის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ყარათუბანი და იჯარეთი, ჩორჩანის სასოფლო საბჭოს სოფლები ადიგენი და გორგული და მათ ბაზაზე შეიქმნა გორგულის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გორგულში;

აბაშის რაიონის ქოლობნის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ტყვირი და ცილორი და მათ ბაზაზე შეიქმნა ტყვირის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ტყვირში;

გურჯაანის რაიონის ბაკურციხის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი კოლაგი და შეიქმნა კოლაგის სასოფლო საბჭო;

ახალქალაქის რაიონის დილისკის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები პტენა და ჩუნჩხა და შეიქმნა პტენისა და ჩუნჩხის სასოფლო საბჭოები;

ბარალეთის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი კოთელია და შეიქმნა კოთელიის სასოფლო საბჭო;

ოკამის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები აფნია და გოგაშენი და შეიქმნა გოგაშენის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გოგაშენში.